პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N....

31 აგვისტო, 2022 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის
დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 1 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოდადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილებაში (www matsne.gov.ge, 16.07.2014, N010250040.35.123.016211), კერძოდ:

1. დადგენილების დანართის მე-13 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „9. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.“.

2. დადგენილების დანართიდან ამოღებულ იქნეს მე-16 მუხლი (საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება).

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, საკრებულოს
აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

წინამდებარე დადგენილების პროექტის მიღება ძირითადად, განპირობებულია საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს კომპეტენციიდან ამოღებულია საკრებულოს წევრის უფლებასილების ცნობად მიღების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული ცვლილების თანახმად, საკრებულო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში. გამომდინარე აქედან, ცვლილება იქნა შეტანილი საკრებულოს რეგლამენტის მე-13 მუხლის მე-9 პუნქტში, კერძოდ, ამ პუნქტიდან ამოღებულ იქნა საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე არსებული დათქმა.

ამასთან, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საკრებულოს იმ წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი, უნდა განისაზღვროს საკრებულოს ნორმატიული აქტით - საკრებულოს დადგენილებით, აღნიშნულის გათვალისწინებით, საკრებულოს რეგლამენტიდან ამოღებულ იქნა მე-16 მუხლი აღნიშნულის თაობაზე.

ბ. პროექტის მიღების მიზანი:

დადგენილების მოყვანა შესაბამისობაში საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

2. დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ა) პროექტის მიღებასთან და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

ბ) პროექტის გავლენა ადგილობრივ ბიუჯეტზე:

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაღებული იქნება მხოლოდ პროექტის მიღებასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები.

3. **დადგენილების პროექტის ინიციატორი:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია.

4. **დადგენილების პროექტის შემდგენელი:**

დადგენილების პროექტი შეადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - სამდივნო განყოფილების უფროსმა, ცაგური პატარიძემ.

5. **საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტის წარმომდგენი:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტს წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ცაგური პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, საკრებულოს
აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი